საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურგენ IV

გურგენ IV (გ. 14. II. 941), ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, ადარნასე II-ის ძე, გურგენ I კურაპალატის შვილიშვილი, ერისთავთერისთავი 918–941. ერისთავთერისთავობა მიიღო თავისი ბიძის აშოტ კუხის გარდაცვალების შემდეგ.

ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე გ. IV-ს უწოდებს „დიდ ერისთავთერისთავს" და „დიდ გურგენს", რ-მაც სიმხნევითა და გადახდილი ბრძოლებით გადაამეტა თავის წინაპრებს და „დაიმორჩილა ყოველნი გარემოსნი". გიორგი მერჩულის (X ს.) სიტყვით, გ. IV იყო „დიდი ხელმწიფე ფრიადთა ნათესავთაჲ", ხოლო სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტცი მას უწოდებდა „ქართველთა დიდ მთავარს", რ-იც ებრძოდა სომეხ ბაგრატუნებს სამშვილდის ციხისათვის.

გ. IV ებრძოდა სამფლობელოებისათვის საკუთარ ბიძაშვილებსაც, ცდილობდა კეისრისაგან კურაპალატობის პატივის მიღებას, მაგრამ უშედეგოდ. გ. IV აქტიურად იყო ჩარეული აფხაზთა სამეფოს ტახტისათვის ბრძოლაში, რ-იც კონსტანტინე III აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს – გიორგისა და ბაგრატს შორის მიმდინარეობდა (ეს უკანასკნელი გ. IV-ის სიძე იყო).

გ. IV-მ დაასრულა ხანძთის ახ. ეკლესიის მშენებლობა.

ლიტ.: მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. 2, თბ., 1980; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).